

ଇଲ୍ଲିର ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣାଗାନ୍ଧୀର ସାନ୍ଦେହିତ୍ୟରେ
ତଥିଲ୍ଲିରେ ଏବଂ ଏହା ପ୍ରମାଣିତ ହୁଏଇଛି
ସାନ୍ଦେହିତ୍ୟର ଉତ୍ସିଷ୍ଟରେ ବିଭିନ୍ନ ପରିମାଣରେ

ଏହା, ତାରୁଗମାନି, ଲୋକପାତ୍ରଙ୍କା

ଏହା ହୁଏ ପ୍ରମାଣିତ ହୁଏ
ତଥିଲ୍ଲିରେ
1999

მარინა ჯაში

გერმანული საგაზეთო ტექსტების განრობრივი
დახასითება

საგაზეთო-ურნალისტური პუბლიცისტიკის როგორც საკომუნიკაციო არხის საფუძველს წარმოადგენს გაზეთები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალები. გაზეთი წარმოადგენს ინფორმაციის ოპერატორულ და უნივერსალურ წყაროს საქმეთა ვითარების შესახებ როგორც საკუთარ ქვეყანაში, ასევე სხვა ქვეყნებში. საგაზეთო-ჟურნალისტური პუბლიცისტიკა როგორც მასობრივი კომუნიკაციის სახეობა წარმოადგენს რთულ ფენომენს მისი ამოცანებისა და საურთიერთობო პირობების არაერთგვაროვნების გამო და ზოგადად ექსტრალინგვისტური ბაზისის თავისებურებების გამო, თანამედროვე გაზეთი შედგება სხვადასხვაგვარი სამეტყველო ჟანრებისაგან, რომლებიც ახორციელებს აგიტაციურ-პროპაგანდისტულ ფუნქციას. გაზეთის ყოველი სამეტყველო ჟანრი-ეს არის ტექსტის უნიკალურ აზრობრივი (საკომუნიკაციო) მოდელი.. ეს არის როგორც დარწმუნებითი ფუნქციის დიფერენციის პრაგმატიული მოდელი. ასევე ტექსტის კონსტრუქციული მოდელი, რომელიც განსაზღვრავს მისი გაფორმების ზოგად სინტაქსურ სქემას.

პუბლიცისტური სტილის ცნება შეიქმნა გაზეთების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალების, პამყლებების, მოხსენებების, გამოსვლების, საუბრების, დისკუსიების და ა.შ. ენიდან, რომლებიც პოლიტიკურ ინფორმაციას შეიცავენ. პოლიტიკური ინფორმაცია მოიცავს ფაქტებს, მოვლენებს და

ამბებს საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკური სფეროდან, ურთიერთობებს ერებს, პარტიებს, სახელმწიფოთა შორის. ამას ერთვის აგრეთვე ინფორმაციები იმ მოვლენების შესახებ, რომლებსაც ადგილი აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკასა და კულტურის სფეროში, რომელთაც პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ. ეს სტილი ხასიათდება შინაარსის ჭეშმარიტებით, ობიექტურობით, სიმართლით და უტყუარობით. უტყუარობა გამოხატავს პოლიტიკური ინფორმაციის ჭეშმარიტებას ადრესატთა მიმართებაში და გამოხატავს საზოგადოების მიერ მისი აღქმის ხარისხს და აქედან გამომდინარე, დაკავშირებულია მის ისეთ მახასიათებლებთან, როგორიცაა სისრულე, სიღრმე, სიზუსტე და განსაზღვრულობა. პოლიტიკური ინფორმაციის სისრულე გამოხატავს არა საერთოდ მთელ იმ ინფორმაციას, რომელიც არსებობს შესატყობინებელი მოვლენის ან ფაქტის შესახებ, არამედ ყველაზე არსებითს, იმას, რომელსაც მოჰყება რეაქცია და გადაწყვეტილების სწორი მიღება. პოლიტიკური ინფორმაციის მახასიათებლები, რომელიც დროში მის ეფექტურობას გამოხატავს, არის ოპერატიულობა და ატუალურობა.

პუბლიცისტიკის აგიტაციურ-პროპაგანდისტული ფუნქციით განისაზღვრება მისი ესქპრესიულობისა და ემოციურობის მაღალი ხარისხი, რომელიც დამოკიდებული მისი განხორციელების კონკრეტულ ფორმაზე, საკომუნიკაციო არხზე და სამეტყველო ჟანრის სპეციფიკაზე. მაგალითად: ემოციები, რომლებიც გამოიხატება კომუნიკაციის, და გრძნობები მოცემული მოწოდებებსა და პამყლებებში, განსხვავებულია თავისი ხასიათით და კონკრეტული შინაარსით. ისინი განსხვავდება აგრეთვე თავისი ფსიქოლოგიური. არსეთ და ფორმალური

გამოვლინებით საკომუნიკაციო არხის მიხედვით, რომელიც თავის დაღს ასევამს ყოველ სამეტყველო ქანრს როგორც მის შემადგენელ კომპონენტს. გაზეთის ემოციურ-ექსპრესული ფუნქცია ხასიათდება უპირველეს ყოვლისა ტექსტის ღია შეფასებით. მხატვრული ნაწარმოებისაგან განსხვავებით პუბლიცისტიკაში არა ქვეტექსტი, არამედ თვით ტექსტი საფეხით გარკვეულად გამოხატავს შეფასებით დამოკიდებულებას წარმოდგენილი ფაქტებისადმი. ყოველივე ეს წინა პლანზე აყენებს პუბლიცისტური ნაწარმოებების აქსიოლოგიურ ფუნქციას, რომლის მთავარი დანიშნულებაა მოახდინოს მკითხველზე სულიერი, იდეოლოგიური ხემოქმედება.

გრძელი საგაზეთო ტექსტები ერთგვარი თავისებურებებით გამოირჩევა. ისინი სამ ძირითად ტექსტობრივ ქანრს განეკუთვნება:

- I. რეპორტაჟული ხასიათის ტექსტობრივი ქანრი: ა) Nachricht / ინფორმაცია/, ბ) Bericht /კორესპონდენცია/, გ) Documentation /დოკუმენტაცია/.
- II. ინტერპრეტაციული ხასიათის ტექსტობრივი ქანრი: ა) Reportage /რეპორტაჟი, ნარკვევი/, ბ) Feature /ლიტერატურული ხასიათის დიდი საგაზეთო სტატია/, გ) Portät / პორტრეტი/, დ) Interview/ Diskussion/ ინტერვიუ, დისკუსია, ე) Brief / წერილი/, Feuilleton / გაზეთის კულტურული ნაწილი, ლიტერატურული დამატება/, ვ) Essay /ესეი/.
- III. კომენტარის ხასიათის ტექსტობრივი ქანრი:

- ა) Kommentar / კომენტარი/, ბ) Leiterartikel / მოწინავე სტატია/, პოლიტიკური კომენტარი/, გ) Glossa /სატირული ხასიათის საგაზეთო ცნობა/, დ) Kolumne / გარკვეული პეტორის სპეციალური საგაზეთო სეკტი/, ე) Kritik/ Rezension /კრიტიკა/რეცენზია/.

ინფორმაცია / Nachricht /- ყველაზე ლაკონური და მინიატურული სამეტყველო ქანრია გაზეთში. ინფორმაციის სამეტყველო ქანრის მიზანია კონკრეტული „შიშველი“ ფაქტების მოკლე შეტყობინება ან ინფორმაციის გაღმოცემა პოლიტიკური მოვლენების შესახებ. ამასთან სდება მხოლოდ ერთი ფაქტის ან მოვლენის გადმოცემა. მის სახასიათო ქანრობრივ თავისებურებას წარმოადგენს დოკუმენტაციზმი, ხაზგასმული დოკუმენტურ-ფაქტოლოგიური სიზუსტე, ასევე თავდაჭრილობა და ოფიციალურობა. ინფორმაცია ისწრაფვის ფაქტებისა და მოვლენების გამოხატვის კონკრეტულობისაკენ და ობიექტურობისაკენ, ასევე გამონათვებამის მაქსიმალური კომპრეხისისაკენ. იგი ყოველთვის უნდა შეიცავდეს რაიმე ახალს და აქტუალურს. მისი ენა უნდა გამოირჩეოდეს სამი თავისებურებით: სიმოკლით, გარკვეულობით და ინტერესის აღმდევლი სტრუქტურით. სიტყვების რაოდენობა დიდი არ უნდა იყოს, ისინი უნდა შეირჩეს ძალის ფრთხილად და შესაფერისად.

კორესპონდენცია /Bericht/ - განსხვავდება ინფორმაციისაგან თავისი მოცულობით. იგი არა მარტო გამოსცემს პოლიტიკური ცხოვრების ფაქტებს და მოვლენებს, არამედ დაწვრილებით იხილავს მათ სხვა მოვლენათა და ფაქტების ფონზე, რომლებიც წინ უსწრებდა ამჟამინდელს. აქ წარმოებს ფაქტებისა და მოვლენების ანალიზი, განხოგადება და კომენტირება. იგი ინფორმაციის ჩონჩხს „ხორცს ასხამს“. მას ინფორმაციისაგან განსხვავებით I ადგილზე ვერ შეხვდებით, არამედ მე-3 და მე-4 გვერდზე. იგი ისევე როგორც ინფორმაცია არის ინფორმაციის ქვესახეობა. მასში შესამჩნევია სამი შესაძლებელი ფუნქცია: 1. ის აწესრიგებს ინფორმაციას; 2. იგი ავსებს ხარვეზებს

ინფორმაციებს შორის; 3. იგი ახდენს რაიმე მოვლენის წარმოდგენას, მისი ყველა მომენტის სრულყოფილ გადმოცემას, რომელიც შეიძლება საინტერესო იყოს მკითხველისათვის. მას რეფერატული ხასიათი აქვს. ამ სამეტყველო უანრის თემაზიკა ჩვეულებრივ მრავალფეროვანია. „ყოველ-თვის აქტუალური, მაგრამ არა ძალიან ფართო.“

Reportage /რეპორტაჟი/-ეს არის ეწ. გაზეთის კორესპონდენცია, უურნალისტური ფორმა, რომელიც გამოირჩევა სინამდვილისადმი ობიექტური და დოკუმენტაციური სიახლოეთ და აღწერს დეტალებს ცალმხრივი ტენდენციის გარეშე, უმეტესად კორესპონდენტის პერსენტივიდან. მას გააჩნია დიდი დიტერატურული ღირებულება. მიუხედავად იმისა, რომ რეპორტაჟი გვაძლევს ინფორმაციას, იგი განსხვავდება მისგან იმით, რომ აწესრიგებს ცალკეულ დეტალებს. იყენებს თავლსაჩინოების თხრობითი ელემენტებით, ახდენს ფაქტების აღწერას და გვაძლევს ინფორმაციებს ფაქტების მოწმეთა შესახებ. თუ კორესპონდენცია ერთი მხრიდან გადმოსცემს მოვლენას ან ფაქტს, რეპორტაჟი მას მრავალი მხრიდან, თითქმის ყოველი მხრიდან, ახდენს მის დანაწევრებას და მას შემდეგ მის სინთეზს. თუ კორესპონდენცია სინამდვილის მარტივი ფოტოგრაფიული სურათია, რეპორტაჟი მისი რენტგენული ფირია. იგი გამოირჩევა ინდივიდუალურობით, პერსონალურად შეფერილი სტილით, იგი გადმოსცემს ავტორის უშუალო განცდილს. კარგი რეპორტაჟი უმეტესად ორიგინალურია.

ლიტერატურული ხასიათის დიდი საგაზეთო სტატია/ Feature /-უფრო ცოცხალია, ვიდრე ინფორმაცია, უფრო ინფორმატიულია ვიდრე კომენტარი და უფრო საფუძვლიანია ვიდრე რეპორტაჟი ან ინტერვიუ. იგი ხასიათდება

სხვადასხვა საშუალებათა გამოყენების მრავალფეროვნებით და არ გააჩნია საკუთარი გამოხატვის ფორმა. „იგი არის ბასრი რეპორტაჟი, რომელიც ერთ პოზიციას ემყარება“. იგი არსებითს და მნიშვნელოვანს განსაკუთრებული ხატოვანი ხერხებით გამოყოფს: რაიმე საინტერესო მოვლენას ყოველთვის თან სდევს შიშველი ინფორმაციის პასაჟები.

პორტრეტი / Porträt/ ეს არის რომელიმე ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის წარმოდგენა, რომელიც ან რომლებიც გამოირჩევიან სამაგალითო ცხოვრებით, საინტერესო ბიოგრაფიით ან რაიმე ისეთი ეპიზოდით მათი ცხოვრებიდან, რომელიც საინტერესოა მკითხველი-სათვის. ხშირად მას „კითხვა-პასუხის“ ფორმა გააჩნია, კითხვებს უურნალისტი წარმართავს, ხოლო ამ კითხვების მეშვეობით ესა თუ ის პიროვნება ჰყვება თავის თავზე იმას, რაც საინტერესოა მკითხველთა ფართო წრისათვის.

ინტერვიუ /დისკუსია/ Interview /Diskussion/. ის არის უურნალისტიკის მნიშვნელოვანი წყარო. იგი ახდენს გამოხენილი პოლიტიკოსების გამოკითხვას და იღებს გარგვეულ ინფორმაციას ამა თუ იმ საკითხე. ინტერვიუ არის საუბარი ორ ან მეტ პირს შორის, რომელიც ემსახურება ინფორმაციების და აზრების გაგებას. ინტერვიუ არის უურნალისტური საქმიანობის მნიშვნელოვანი და ყოველისმომცველი სფერო. რა სფეროში არ უნდა მუშაობდეს უურნალისტი, საფუძველი მისი ყველა საქმიანობისა არის საუბარი სხვა ადამინებთან, შეკითხვა, ინტერვიუ, მხოლოდ მისი შედეგები გამოიყენება სხვადასხვაგვარად.

წერილი /Brief/. იგი არის გამოჩენილი პიროვნების წერილი მიმართული სხვა პირისადმი, რომელიც მისი კოლეგაა, თანამზრახველი, ან პირიქით მისი მოწინააღმდეგებე. ხშირად ის ჩაფიქრებული როგორც კონკრეტული ადრესატისადმი მიმართული წერილი, მაგრამ საზოგადოებისათვის უფრო არის განსაზღვრული. ის გარევეულწილად მაინც უნდა მიახლოებული იყოს ჰეშმარიტ წერილთან. მასში უნდა იყოს ადრესატის გვარი, ადგილი, დრო, თარიღი, წერილისათვის ნიშანდობლივი მიმართვის ფორმა და წერილისათვის დამახასიათებელი დასასრული ავტორის ხელმოწერით. ადრესატი კონკრეტული პიროვნება უნდა იყოს.

ფელეტონი /მოკლე ფორმა/. ეს არის სპეციალური განყოფილება გაზეთსა და ჟურნალში განსხვავებით ინფორმაციის მკაცრად ობიექტური და საქმიანი ენისაგან, მას აქვს სუბიექტურინტერპრეტაციული შინაარსი. როგორც ჟურნალისტიკის პირმშო ფელეტონიც თავის თემას სინამდვილისაგან იღებს: მოვლენა ან შემთხვევა, სამეცნიერო თუ ტექნიკური პრობლემა, ეთიკური თუ რელიგიური თემა შეიძლება იქცეს საფელეტონო მასალად. ფელეტონი ისეთ თემებს ირჩევს, რომლებიც მათი „სუბიექტური“ გაშუქების საშუალებას იძლევა, როგორიცაა ყოველდღიური ცხოვრების მოვლენები, სპორტის ამბები, სასამართლო პროცესები. მაგრამ დღეს იგი უფრო ემსაკურება სულიერი და კულტურული სფეროს ინტერესებს.

ესეი / Essay/ თავისუფალი ფორმის ნარკეები. მასში განხილულია ფილოსოფიური, სოციალური და ლიტერატურული პროცესები. მას ხშირად ჟწოდებენ მოკლე პროზაულ კომპოზიციას. ეს არის

მოკლე, დახურული, შედარებით თავისუფალი პროზაული კომპოზიცია, რომელიც ესოებიკურად დახვეწილი ფორმით ერთადერთ ობიექტს უმეტესწილად კრიტიკულად მიმოიხილავს. ავტორი თავის შერჩეულ მასალას სრულდიად დამოუკიდებლად განიხილავს. მისი არსებითი მახასიათებელია აზრობრივი კრესტიფიკაციის და წინასწარ შექმნილი ცუდი აზრების მსხვრევა.

სატირული ხასიათის საგაზეთო ცნობა /Glossel/. ეს არის უმოკლესი და ურთულესი ჟურნალისტური ფორმა. ეს არის მცირე ხომის აზრის გამომხატველი კომენტარი, რომელსაც კრიტიკული ხასიათი აქვს. მისი ფუნქციებია: დაცინვა, გაპიცხვა, მხილება, განმარტება. იგი გამოირჩევა ყოფითი ლექსიკით, უბრალო ხალხის პოზიციაზე დგას და მათი პოზიციიდან კიცხავს, დასცინის იმას, რაც მის თვალთახედების არეში ექცევა. იგი არის პუბლიცისტიკის სატირული მოკლე ფორმა, ის შეიძლება ეხებოდეს როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემას, ასევე დიდ პოლიტიკასაც. იგი ახდენს მოვლენებისა და ფაქტების ემოციურ შეფასებას და კომენტარის უპირო ობიექტურობისაგან განსხვავებით განსაკუთრებით ემოციურია.

გარკვეული ავტორის სპეციალური საგაზეთო სეეტი /Kolumnne/.

ეს არის განსაკუთრებული სეეტი, სადაც ესა თუ ის ავტორი რეგულარულად აქვეყნებს თავის სტატიებს, ხშირად ძალის ცნობილი პუბლიცისტი. გაზეთები და ჟურნალები ხშირად მიუთითებენ იმაზე, რომ ისინი არ იზიარებენ აღნიშნული ავტორის თვალსაზრისს, არამედ მას მხოლოდ სტატიის გამოქვეყნების ან აზრის გამოხატვის საშუალებას აძლევენ. ამიტომ ხშირად ასეთ ავტორთა ტექსტები უცვლელად იძებდება, არ ხდება

მათი რედაქტორება და ავტორის სტილი შენარჩუნებულია.

კრიტიკა / რეცენზია / Kritik / Rezension/. ისინი კულტურული ნაწილის აზრის გამომხატველი ფორმებია. ეს არის კრიტიკა თეატრისა თუ კინოს, მუსიკისა თუ გამოფენის შესახებ, წიგნის რეცენზია და სხვა. ისინი იმით კი არ განსხვავდებიან კომენტარისაგან, რომ მეტად იყენებენ მხატვრულ ოსტატობას, არამედ იმით, რომ ისინი მჟიდოდ აკავშირებენ ერთმანეთთან. ინფორმაციას და შეფასებას. ჩვენ კიდებთ იმის შესახებ, თუ რაზეა ლაპარაკი ახალ ინსცენირებაში, ვინ თამაშობს, ვინ არის რეჟისორი, და როგორ ჩატარდა პრემიერა, მისი შეფასება. სტილისტური შესაძლებლობის ფარგლები აქ უფრო ფართოა.

კომენტარი / Kommentar/ ტექსტის ის სახეობაა, რომელშიც კომენტატორს გარდა ინფორმაციისა აქტუალური მოყლენის შესახებ საკუთარ პოზიციაც გააჩნია. კომენტარს უველა გაზეთი წარმოადგენს სხვადასხვა სახით როგორც ესქპლიციტურად აზრის შემქნელ კომპონენტს. პოლიტიკური კომენტარი როგორც ტექსტის განსაკუთრებული ტიპი უნდა ხასიათდებოდეს სამი შინაარსობრივი ნიშნით: 1. იგი უნდა იხილავდეს აქტუალურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურად რელევანტურ თემებს; 2. შეიცავდეს ავტორის პოზიციას; 3. გააჩნდეს შეფასებითი ფუნქცია. კომენტარს წესისამებრ თავისი პოზიცია უკავია აქტუალური ინფორმაციის მიმართ. იგი განმარტავს თემის შინგნელობას, ეცნობა ურთიერთკავშირებს, ახდენს კომბინაციებს, გაიაზრებს განსხვავებულ თვალსაზრისებს და ეხმარება მკითხველს შეიქმნას ერთიანი სურათი ამა თუ იმ მოვლენაზე. ამასთან შესამჩნევია, რომ კომენტატორს საკუთარი აზრი გააჩნია. ვისაც

საკუთარი აზრი გააჩნია, შეუძლია სხვებიც დაარწმუნოს. მაგრამ არსებობს ისეთი საკომენტარო თემები, რომლებიც თავისი სირთულის და მრავალმხრივობის გამო ართულებენ ერთმნიშვნელიან დასკვნას ან შეუძლებელს ხდიან. ასეთ შემთხვევაში შეიძლება კომენტატორი მივიღეს დასკვნამდე, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული. მთავარია, რომ კომენტატორმა სხვადასხვა პოზიციები და შეხედულებები თემის ირგვლივ არა მხოლოდ ერთმანეთის გვერდით მოათვხოს, და ამით შემოიფარგლოს, არამედ აჩვენოს ურთიერთკავშირები და ის ფონი, რომელზედაც ისინი იშლება. არჩევენ კომენტარის სამ სახეს : 1. არგუმენტირებული კომენტარი. კომენტატორს მოყავს თავისი არგუმენტები და ეკამათება სხვა პოზიციებს, თუ ისინი მნიშვნელოვანია ან თუ მას საზოგადოების დიდი ნაწილი იზიარებს. 2. პირდაპირი კომენტარი / სწორხაზვანი/, შეიძლება კომენტატორმა უარი თქვას არგუმენტაციაზე და „პირდაპირ“ შეაქოს ან გაეკიცხოს რაიმე. 3. ორმხრივი კომენტარი. თუ აზრთა მსვლელობა იმით შემიფარგლება, რომ გაიაზროს სხვადასხვა ალტერანტიული გადაწყვეტილებები და ვერც ერთი ვერ შეარჩიოს, რაც დამოკიდებულია თემის სირთულეზე ან არსებული პრობლემის მრავალფეროვნებაზე, მაშინ კომენტატორი უარს აცხადებს თავისი დასკვნა გააქეთოს.

მოწინავე სტატია / Leitartikel/. მოწინავე სტატია არის, როგორც დასახელება გვიჩვენებს, გაზეთის მთავარი, მოწინავე სტატია, „გაზეთის დროშა“. მასში განხილულია საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები და ფაქტები. მისი დასკვნები კონკრეტულია, პოლიტიკურად გააზრებული. მას სხვაგვარად პოლიტიკურ კომენტარს

უწოდებენ. მოწინავე სტატია გამოხატავს არა მარტო მისი ავტორის აზრს, არამედ რედაქციის აზრსაც. იგი გაზეთის მნიშვნელოვან, პრივილე- გირებულ ადგილზეა მოთავსებული /პირველ ან მეორე გვერდზე/, ხასიათდება ხშირად სათაურის განსაკუთრებული შრიფტით და გაზეთის მრავალფეროვან სტატიებს შორის წამყვანი /მოწინავე/ პოზიცია უკავია. იგი შეიძლება მიგაკუთვნოთ საპოლიტიკური სტატიათა რიგს, სადაც სინამდვილის მნიშვნელოვანი მოვლენები უნდა აყვანილ იქნას თეორიულ სიმაღლეზე. მისთვის დამახასითებელია ანალიტიზმისა და განზოგა- დოების შერწყმა ფაქტებისა და მოვლენების გადმოცემისას. მას უნდა გააჩნდეს უნარი პოლიტიკური მოვლენები ან სხვა აქტუალური ამბები თავისუფლად და კრიტიკულად გააშუქოს. იგი ეხმარება მკითხველს გაიგოს მომხდარი, ჩამოუყალიბდეს აზრი, საკუთარი შეფასება და შეიძლება რაიმე ქმედებისაკენ უბიძგოს კიდეც. ხშირ შემთხვევებში იგი მიმართულია პოლიტიკოსებისადმი, სახელმწიფო მოღვაწეებისა ან გავლენიანი პიროვნებებისადმი იმ იმედით, რომ ზეგავლენა მოახდინოს მათ გადაწყვეტილებებზე. მიუხედავად იმისა, რომ იგი დროის ზეწოლით იწერება და ხშირად არის წამიერი აღმაფრენის შედეგი, მას ხშირად არც ისე სწრაფმავალი მნიშვნელობა აქვს. იგი შეიძლება იყოს თავისი დროის რეარგზენტანტი იმ როლით, რომელსაც მისი აგზორი თამაშობდა, ან გაზეთის მნიშვნელობით, სადაც ის გამოქვეყნდა, ან თავისი ტექსტით. ამ სამეტყველო უანრის ფუნქციურ შინაარს წარმოადგენს ფარული იმპერატიულობა და დირექტიულობა. იგი არის როგორც მას ხატოვნად უწოდებენ, გაზეთის კვინტესენცია. კომენტარი არ

შეიძლება იყოს ობიექტური და თავისთავში გაწონასწორებული. იგი გადმოსცემს ყოველთვის ავტორის სუბიექტურ ხედვას, სუბიექტურ შეფასებას. პრესაში კომენტარი და მოწინავე სტატია ქმნის პოლიტიკურ პროფილს. ისინი აყალიბებენ გაზეთის მიამრთულებას. კომენტატორს უნდა გააჩნდეს უნარი დაარწმუნოს მქითხველი თავისი პოზიციის სისწორეში. დაასაბუთოს თავისი არგუმენტები ლოგიკურად, მაგრამ ამასთანავე იგი მზად უნდა იყოს, თავისი აზრი კითხვის ქამშ დააყენოს, შეცდომები აღიაროს და საკუთარი შეფასებები გადაამოწმოს, ხომ არ იქცა ისინი წინასწარ შექმნილ უარყოფით აზრებად. კომენტარის ძირითად სტრუქტურულ სქემას თეორიულად შემდეგი აგებულება აქვს:

ფაქტის ან მოვლენის წარმოდგენა ან დასახელება

პრობლემატურობა

შეფასება

საკუთარი აზრის გამოთქმა

მიღებული გადაწყვეტილება, პრობლემის გადაწყვეტა

ქმედების განხორციელების მოთხოვნა

აქედან ობლიგატორულია 1 და 3 საფეხურები, ყველა დანარჩენი ფაკულტატურია. კომნეტირება ნიშნავს არგუმენტირებას, თემაზე კონცენტრაციას, პრობლემის გაშუქებას განსაზღვრული თვალსაზრისიდან და ამასთან საზღვრების დაცვას. დიდია საშიროება იმისა, რომ აზრთა სისავსემ, რომელიც აღგილის სიმცირის გამო სათანადოდ ერ გაიშლება, დააბიოს მკითხველი. კომენტარი და მოწინავე სტატია საჭიროებს მკვეთრ დანაწევრებას. პრაქტიკაში დამგვიდრდა სამ ნაწილად მათი გაყოფა: 1. შესავალი. კომენტარის

დასაწყისში მოკლედ მოხაზულ უნდა იქნას ოქმა. მასთან ლაპარაკია არა ინფორმაციულ განმეორებაზე, არამედ მის წარმოდგენსა და დაზუსტებაზე. შესამჩნევი უნდა იყოს, რომ ხდება არა ინფორმაციის გადმოცემა, არამედ მისი კომენტირება. თემის ლამაზი, პროეკტიული მიწოდება განაპირობებს მის შემდგომ კითხვას. 2 შუა ნაწილი, უნდა მოკლედ წარმოებდეს ფაქტების ანალიზი, უნდა გათვალისწინებული იყოს უპარ არსებული პოზიციები, უნდა შეფასდეს საწინააღმდეგო არგუმენტაციები. კომენტატორი უნდა დაკირდნოს ერთ რომელიმე თვალსაზრისს ან მაქსიმუმ ორ ან სამ შეხედულებას. არ უნდა დაიფაროს უკანა პლანი ან არგუმენტები თემის ხელოვნურად შემოქლების მიზნით. რაც უფრო მეტად მიმოხილავს ის უკელა ფაქტს, მშო უფრო დამარტინულად და დამაჯერებლად მოქმედებს კომენტატორი, ახდენს მათ სრულ შეფასებას და მკვეთრად მოხაზავს თავის აზრებს. შუა ნაწილის ბოლოში კომენტატორს ჰველაფერი უნდა პქონდეს ნათქვამი, გაშუქებული და შეფასებული, რაც არის თემის ირგვლივ მისი დასკვნითი აზრი. 3. საბოლოო ნაწილი. მკითხველმა უპარ გაიგო, თუ რა დასკვნებს აკეთებს კომენტარის ავტორი. ეს არის ავტორის და აგრეთვე გაზეთის აზრი, რომელიც სტიმულს აძლევს მკითხველს საკუთარი აზრის ჩამოყალიბებისათვის, მაგრამ ყოველთვის შესამჩნევია, რომ აზრი გამოთქმულია და ავტორის მხრიდან არის სურვილი დაარწმუნოს მკითხველი მოკლენის ან ფაქტის შეფასების სისწორეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. E.K. Roloff-Journalistische Textgattungen, München, 1982.

2. M.Pfeil-Zur sprachlichen Struktur des politischen Leitartikels in deutschen Tageszeitungen, Göppingen, Kümmerle, 1977.
3. J.Volmert-Politischer Kommentar und Ideologie, Stuttgart: Metzler, 1979.
4. W. von La Roche-Einführung in den praktischen Journalismus, München, 1980.
5. ABC des Journalismus, München, 1981.
6. მ. პ. ბრანდესი-გერმანული ენის სტილისტიკა /რუსულ ენაზე/, მოსკოვი, „ვისტაი შკოლა“, 1983.

Marina Dshaschi Genre-hafte Charakteristik der deutschen Zeitungstexte Zusammenfassung

Kommentar als ein besonderer Texttyp soll durch drei Inhaltsmerkmale gekennzeichnet werden, er soll: 1. aktuelle, gesellschaftlich-politisch relevante Themen behandeln; 2. die Stellungnahme des Autors enthalten und; 3. Bewertungsfunktion besitzen. Das Grundschema des Kommentars hat theoretisch folgende Struktur: 1) Darstellen (Nennen einer Sache); 2) Problematisieren; 3) Bewerten; 4) Urteilen; 5) Darstellen (Nennen einer Lösung) und 6) Auffordern zum Handlungsvollzug.

Im Kommentar wird nicht nur die Meinung des Verfassers, sondern auch die der ganzen Zeitung geäußert, die dem Leser Anregung zur Kundgebung seiner Meinung gibt. Aber immer ist es bemerkbar, daß die Meinung schon geäußert ist und von der Seite des Autors der Wunsch besteht, den Leser von der Korrektheit der Bewertung eines Ereignisses oder einer Tatsache zu überzeugen.